

განმარტებითი ბარათი

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის შექმნა განაპირობა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების შედეგად გამოვლენილმა ხარვეზებმა და პრობლემებმა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია საკანონმდებლო ნაკლოვანებების აღმოფხვრა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების მყარად დაცვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტის ძირითადი არსი:

(1) მიწების კანსოლიდაციისა და აქედან გამომდარე მიწის ბაზრის განვითარებაში საეკონომიკურ მდგომარეობაა. მიწის მესაკუთრეები ნაკვეთების გაერთიანებისას აწყდებიან მრავალ პრობლემას, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შიდასამეურნეო გზების საკითხია. გზები, რომლებიც ნაკვეთების გაერთიანების შემთხვევაშიც ვერ წყვეტს ერთიანი მიწის ფართობის ჩამოყალიბების საკითხს, ვინაიდან ეს გზები ისევ სახელმწიფო საკუთრებაა და მესაკუთრე პრაქტიკულად რჩება ისევ გაყოფილი, გაუერთიანებელი მიწით.

აღნიშნული საკითხის რეგულირების მიზნით კანონპროექტი ადგენს, რომ ნაკვეთების კონსოლიდაციის შემთხვევაში ნაკვეთების შიგნით მოქცეული შიდასამეურნეო გზები გადადის კონსოლიდირებული მესაკუთრის საკუთრებაში, რაც წარმოადგენს მიწის ნაკვეთების გაერთიანებისა და კონსოლიდაციის მნიშვნელოვან ფაქტორს.

(2) კანონპროექტის შესაბამისად ქარსაფარი ზოლები გადადის მიმდებარე ნაკვეთების მესაკუთრეთა საკუთრებაში, რაც ხელს შეუწყობს უშუალოდ თანამესაკუთრეთა ინტერესების ერთობლივად დაცვას და ქარსაფარი ზოლის შენახვა-შენარჩუნებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს საბიუჯეტო ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე
კანონპროექტის მიღებით უნდა გაიზარდოს საბიუჯეტო შემოსავლები.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ ზეგავლენას იმ პირობებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის (პრინციპი)

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

‘සමමාන වූයේ එම පක්ෂවලින්
එකෙහි පවත්වා ගන්නා ආකාරයට පවත්වා ගන්නා ආකාරයට

‘සමමාන වූයේ එම පක්ෂවලින්
එකෙහි පවත්වා ගන්නා ආකාරයට පවත්වා ගන්නා ආකාරයට

‘ඉදිරිපත් කරනු ලබන
මානව හිමිකම් පිළිබඳව පවතින සියලුම ප්‍රධාන මූලධර්ම

‘ඉදිරිපත් කරනු ලබන
මානව හිමිකම් පිළිබඳව පවතින සියලුම ප්‍රධාන මූලධර්ම